ეკონომიკური განვითარების მოდელების ტრანსფორმაცია

ელენე მენაბდე-ჯობაძე
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

TRANSFORMATION OF ECONOMIC DEVELOPMENT MODELS

Elene Menabde-Jobadze
RTU, Associate Professor

ABSTRACT

The article by E. Menabde-Jobadze examines the problems of modern economics, which represents a synthesis of the market mechanism and elements of state regulation. Representatives of the first economic school of mercantilism stood for active government intervention in the economy. From the point of view of the physiocrats, the main concern of the state is the protection of the so-called natural law, the basis of which is private property. Representatives of classical economics, represented by A. Smith and D. Ricardo, spoke out for economic freedom and were supporters of less government intervention in the economy. The theoretical need for state regulation of the economy was substantiated by J. Keynes. The representative of the market social economy, L. Gerhard, believed that the state's task does not include direct intervention, but that the state is solely responsible for the market economy. Monetarists considered the only sphere of government intervention to be monetary circulation, control over the money supply in circulation, and maintaining the stability of money - the first priority of the current economic policy of the state.

For each country, the set of instruments and the degree of government intervention are not universal. There are specifics, differences, and the use of certain instruments only in a given country or group of countries.

Key words: economic theory, economic development, macroeconomics.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური თეორია, ეკონომიკური განვითარება, მაკროეკონომიკა.

* * * *

თანამედროვე ეკონომიკა საბაზრო მექანიზმისა და სახელმწიფო რეგულირების სინთეზს წარმოადგენს.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ეკონომიკურ სფეროში სამეურნეო კავშირების გართულებასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მოქმედების ფორმები და მოცულობაც იცვლება.

პირველი ეკონომიკური სკოლის, მერკანტილიზმის წარმომადგენლები ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის მომხრეები იყვნენ. სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. სახელმწიფო ოქროსა და ვერცხლის ქვეყანაში დაგროვების, საკუთარი წარმოების დაცვისა და განვითარების მიზნით, საკანონმდებლო დონეზე ატარებდა ეკონომიკურ პოლიტიკას. მოგვიანებით აღმოცენებული ფიზიოკრატიული სკოლის წარმომადგენლები მერკანტილისტების აზრს არ იზიარებდნენ და „ლაისსერ ფაირე" პრინციპი წამოაყენეს, რომელიც პირველ რიგში თავისუფალ ვაჭრობას მოითხოვდა. ფიზიოკრატთა თვალსაზრისით სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი ე.წ. ბუნებრივი უფლების დაცვა იყო, რომლის საფუძველსაც კერძო საკუთრება წარმოადგენდა.

პოლიტეკონომიის კლასიკური სკოლა სამრეწველო რევოლუციის ეპოქაში აღმოცენდა და შესაბამისად სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა. მათ კრიტიკულად შეაფასეს წინამორბედთა, განსაკუთრებით მერკანტილისტთა (რომლებიც სავაჭრო კაპიტალის იდეოლოგები იყვნენ) შეხედულებები. მათი წარმომადგენლები ა.სმითისა და დ.რიკარდოს სახით ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვის და "ეკონომიკური თავისუფლების" მომხრეეები იყვნენ.

ა.სმითის აზრით სახელმწიფოს სამი რამ ევალება:

- საზოგადოება დაიცვას სხვა დამოუკიდებელ საზოგადოებათა ძალადობისა და შემოჭრისაგან;
- შეძლებისდაგვარად დაიცვას საზოგადოების თითოეული წევრი ძალადობისა და ჩაგვრისაგან, დაამყაროს მართლმსაჯულება;
- შექმნას და შეინახოს განსაზღვრული საზოგადოებრივი შენობები და დაწესებულებები, რომელთა შექმნისა და შენახვის ხარჯებს ცალკეული პირები და მცირე ჯგუფები ვერ დაფარავენ.

ნეოკლასიკური მიმართულების წარმომადგენლები საბაზრო სისტემის თვითრეგულირების მომხრეები იყვნენ. მათ ჩამოაყალიბეს მეურნეობის ოპტიმალური რეჟიმის კანონზომიერება და შექმნეს საბაზრო წონასწორობის თეორია. ნეოკლასიკოსები ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევას საზიანოდ მიიჩნევდნენ. მათი აზრით, წარმოებისა და დასაქმების სრული მოცულობის

მქონე ეკონომიკაში ჩარევით, სახელმწიფო მის ეფექტურ ფუნქციონირებას აზიანებს. ნეოკლასიკოსები ყველაზე მისაღებად სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩაურევლობის პოლიტიკას მიიჩნევდნენ.

XIX-ის ბოლოს XX-ის დასაწყისის ეკონომიკურმა ძვრებმა წარმოების მასობრივი ზრდა, საქონლის მრავალფეროვნება, კონკურენციის გამწვავება, ბაზრის გადატვირთვა მოიტანეს. ბაზარი ამ ყველაფერს დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდა, რადგან იგი საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის გარეშე ეკონომიკური ფაქტორებით იყო გამომწვეული. ამან სახელმწიფოს წინაშე ახალი ამოცანები დააყენა და აიძულა მაკორექტირებელი ღონისძიებები გაეძლიერებია: შეექმნა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ე.ი. საზოგადოებრივი კეთილდღეობის ეკონომიკური განვითარების შინაგანი და გარეგანი უსაფრთხოება ახალი ინსტიტუტების სისტემით, სამართლებრივი ნორმებით და ეროვნული ვალუტის სიმყარით უზრუნველეყო.

პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა მწვავე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კომპლექსური პრობლემები გამოიწვიეს, რამაც ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფოს უფრო აქტიური როლი მოითხოვა. მაგრამ სახელმწიფოს გააქტიურების მთავარი მიზეზი 30-იანი წლების ეკონომიკური კრიზისი გახდა, რომელმაც საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირებისადმი ნდობა საბოლოოდ შეარყია.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გარდაუვალობა თეორიულად ჯ.მ. კეინზმა დაამკვიდრა. ხოლო ა.შ.შ.-ის გამოცდილებამ თ. რუზველტის და გერმანიისამ ა. ჰიტლერის დროს დაამტკიცა თეზისი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო დანახარჯებს ეკონომიკის საჭირო მიმართულებით შემობრუნება შეუძლიათ. სახელმწიფო შეკვეთები აცოცხლებდნენ მოთხოვნას, ასტიმულირებდნენ დასაქმებას და ამავე დროს მოგება მოჰქონდათ მეწარმეებისათვის. მიიჩნევა, რომ 30-იან წლებში კაპიტალიზმი (აგრეთვე საბაზრო ეონომიკა) შეიცვალა შერეული ეკონომიკით.

სახელმწიფო რეგულირების კეინზურმა მოდელმა თავისი ეფექტურობა არა მარტო 30-იან წლებში, არამედ მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდგომ პერიოდშიც გამოავლინა. 50-60-იან წლებში სახალხო მეურნეობის აღდგენა, გარდაქმნა და რეკონსტრუქცია სახელმწიფოს აქტიური როლით იქნა განხორციელებული.

70-იან წლებში სახელმწიფო ბიუჯეტების ქრონიკულმა დეფიციტმა, ინფლაციის მაღალმა დონემ, ამას დამატებული 70-იანი წლების მეორე ნახევრის ნავთობის კრიზისმა კეინზელობაზე ლიბერალური აზროვნების წარმომადგენელთა (მ. ფრიდმანი, ფ. ჰაიეკი) კონტრშეტევა გამოიწვია, რამაც სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადრება მიიპყრო.

ამ კატაკლიზმებში სახელმწიფო რეგულირების კეინზურ მეთოდებს ადანაშაულებდნენ, რომელთაც სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფთა დანახარჯების წარმოუდგენელი ზრდა გამოიწვიეს. დაიწყო სოციალური დანახარჯების შემცირება. სახელმწიფო ჩაურევლობის პოლიტიკის საფუძველს ნეოლიბერალური, მონეტარული და "მიწოდების ეკონომიკის" თეორიები წარმოადგენდნენ.

ამ მიმართულებათა გამაერთიანებელ იდეას საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების შესაძლებლობის რწმენა წარმოადგენდა. აღადგინეს რა კლასიკური სკოლის ლიბერალური იდეები, ნეოლიბერალებს სახელმწიფოს ეკონომიკური როლი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის სასურველი პირობების შექმნაზე დაჰყავდათ. იცავდნენ რა თეზისს "კონკურენცია იქ - სადაც შესაძლებელია, სახელმწიფო – იქ სადაც აუცილებელია".

სოციალური საბაზრო მეურნეობის იდეოლოგი ლ.ერჰარდი თვლიდა, რომ ეკონომიკაში ჩარევა სახელმწიფოს ამოცანას არ წარმოადგენდა, მაგრამ ეკონომიკურ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი მხოლოდ იგი იყო.

მონეტარისტები, მათ შორის მ. ფრიდმანი თვლიან, რომ ეკონომიკური ცხოვრების კოორდინაციის მხოლოდ ორი გზა არსებობს - იძულებაზე დამყარებული ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა და ბაზარი - რომელიც მონაწილეთა ნებაყოფლობითი თანამშრომლობით სარგებლობს. მარეგულირებელ ფუნქციას მონეტარისტები ბაზარს მიაწერენ. სახელმწიფოს ჩარევის ერათადერთ სფეროდ ფულის მიმოქცევას მიიჩნევენ. თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის უპირველეს პრიორიტეტად მიმოქცევაში ფულადი მასის კონტროლს და ფულის სტაბილურობის შენარჩუნებას თვლიან.

"მიწოდების ეკონომიკის" მომხრეები მიიჩნევენ, რომ თუ სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია, მაშინ იგი გრძელვადიანი და საქონლის, კაპიტალის და წარმოების ფაქტორთა მიწოდების სტიმულირებაზე ორიენტირებული უნდა იყოს. მათ მიერ უწყვეტი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის რეკომენდირებულია, საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით, საკრედიტო რესურსების მიწოდების რეგულირება.

ასეთი მრავალფეროვანი შეხედულებებია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ. მიუხედავად არსებული წინააღმდეგობისა აღსანიშნავია, რომ მათ შორის განსხვავება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ფორმებსა და წილს ეხება. თანამედროვე ბაზარი სახელმწიფოს ჩარევის გარეშე წარმოუდგენელია. ბაზრისთვის ანტისოციალური ქმედებები და ტენდენციებია დამახასიათებელი, რომლებიც არა თუ მიკრო, არამედ მაკრო პროპორციების დარღვევას იწვევენ, რასაც შესაბამისად

ფინანსურ, ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და სხვა კრიზისულ მოვლენებსა და პროცესებამდე მივყავართ. გამოცდილებამ აჩვენა, რომ მათ მხოლოდ სახელმწიფო რეგულატორები ზღუდავენ.

საბაზრო მეურნეობის სახელმწიფო რეგულირებაა, მიკრო და მაკროეკონომიკურ პროცესების განვითარებაზე სახელმწიფოს მიზანმიმართული ზემოქმედება, ეკონომიკის სტაბილურობის ან მისი საზოგადოებისთვის საჭირო მიმართულებით შეცვლის მიზნით. სახელმწიფო რეგულირების სისტემაში გამოყოფენ პრაქტიკულ და სამეცნიერო მხარეს. პრაქტიკული გამოცდილება _ სახელმწიფო რეგულირების რეალიზაციისათვის საჭირო კონკრეტულ ღონისძიებათა ერთობლიობაა. თეორიული ასპექტი - ეროვნული ეკონომიკის უფრო მეტად ეფექტური განვითარების ფორმირებაზე მიზანმიმართული მოტივების და ღონისძიებების სისტემატური სამეცნიერო კვლევაა. სამეცნიერო მიდგომას მიეკუთვნება პროგნოზებისა და მოდელების შემუშავება. სამეცნიერო ასპექტის მნიშვნელოვან ამოცანას ეკონომიკური აზროვნების ფორმირება წარმოადგენს.

სახელმწიფო რეგულირების არსიდან გამომდინარე, მისი მიზნები განისაზღვრება. ეკონომიკური მეცნიერება გლობალურ დონეზე განიხილავს რეგულირების უმაღლეს - ძირითად და გამოყენებით მიზნებს. ნებისმიერ ქვეყანაში უმაღლესი მიზანი მთელი საზოგადოების მაქსიმალური კეთილდღეობის მიღწევაზე დაიყვანება. ამის სარეალიზაციოდ გამოყენებითი მიზნების განხორციელებაა საჭირო. მათ მიეკუთვნება: ეკონომიკური ზრდა; სრული დასაქმება; ფასების სტაბილური დონე და ეროვნული ვალუტის სიმყარე; საგარეოეკონომიკური წონასწორობა. ეკონომიკური მიზნების სისტემაში, ეკონომიკური ზრდა წამყვან კონკრეტულ ამაცანად ითვლება. მისი გადაწყვეტა მშპ-ს აბსოლუტურ და შეფარდებით მატებასთანაა დაკავშირებული.

ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფასთანაა გადაჯაჭვული მეორე უმნიშვნელოვანესი მიზნის – სრული დასაქმების მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამოცანა კონკრეტულად ახალი სამუშაო ადგილების შექმნით და უმუშევრობასთან ბრძოლის სხვა მეთოდებით წყდება.

ფასების დონისა და ეროვნული ვალუტის სიმყარე ეკონომიკის სტაბილურობის პირობაა. ამიტომ განხილული მიზნის მიღწევა სახელმწიფოთა ქმედებაში უმნიშვნელოვანეს ორიენტირს წარმოადგენს.

ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში, ზემოთ ჩამოთვლილი მიზნობრივი ამოცანების გადაწყვეტა მაკროეკეონომიკური წონასწორობის მიღწევას ნიშნავს და საგარეოეკონომიკური წონასწორობის მისაღწევად სასურველ პირობებს ქმნის. ამას სახელმწიფო მხარს უჭერს მთელ რიგ ღონისძიებათა სისტემის გატარებით: საერთაშორისო ვაჭრობის, კაპიტალისა და შრომითი რესურსების ქვეყანათაშორისი გადაადგილების, საგადამხდელო ბალანსის დაბალანსებულობის უზრუნველყოფის სფეროში.

დასმული ამოცანებისა და მიზნების მნიშვნელობის თანმიმდევრობა ამა თუ იმ ქვეყანაში გარეგან და შინაგან გარემოებათა მრავალფეროვნებით განისაზღვრება. საქართველოს პირობებისათვის მისაღები განსახორციელებელი მიზნების თანმიმდევრობა შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს დასავლეთის ქვეყნებისათვის დამახასითებელი თანმიმდევრობისაგან. თავისთავად მიზნების შემადგენლობისათვის გარკვეული სპეციფიკაა დამახასიათებელი, რომელიც საბაზრო ურთიერთობათა მოუმწიფებლობითაა გამოწვეული.

კონკრეტულ დროის მონაკვეთში სახელმწიფო რეგულირების მიზნების განსაზღვრისას, ხელისუფლება ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნების პრობლემას აწყდება. სახელმწიფო რეგულირების ურთულეს საკითხს ოპტიმალურად ჰარმონიულ მიზანთა სისტემის ძიება წარმოადგენს. მაგალითად; სრული დასაქმება - ინფლაციურ ტენდენციებს აძლიერებს, ეკონომიკური ზრდა - გარემოს დაცვასთან აშკარა ურთიერთწინაარმდეგობაშია. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყველაზე სწორი ვარიანტი - მუდმივადცვალებადი მანევრირების მეთოდია. თითოეული ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნის მორიგეობით, ნაწილობრივი განხორციელება – ეროვნული ეკონომიკისათვის ამოცანათა გადაწყვეტის ოპტიმალური გზაა.

მიზნებიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირება მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის გარეშე, კერძო საკუთრებაზე დამყარებული საბაზრო ეკონომიკა ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.

თავისთავად საბაზრო მექანიზმი, კონკურენტულ ბრძოლისათვის ამა თუ იმ ქვეყნის უპირატესობათა დროული გამოვლენის საშუალებას არ იძლევა. ვერ ხერხდება პრიორიტეტულ დარგებში რესურსების სწრაფი კონცენტრირება, წარმოების დაჩქარებული სტრუქტურული გარაქმნა. ეს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფუნქციაა. სახელმწიფო რეგულირების უმთავრესი ფუნქციაა ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფის პირობებში, პირველ რიგში ინვესტიციათა, ინოვაციათა და სამეწარმეო საქმიანობის აქტივიზაცია და ინტენსიფიკაცია. ეს ფულად _ საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკის გატარებით მიიღწევა.

სახელმწიფო რეგულირების ფუნქციაა საზოგადოების შემოსავლების განაწილებაზე ზემოქმედება. ცნობილია, რომ ბაზარი განაწილების მხოლოდ ერთ კრიტერიუმს ცნობს - საქონლის მომსახურების, კაპიტალის და შრომის ბაზარზე

კონკურენციის შედეგებს. ამიტომ სამართლიანად ითვლება წარმატებულთა მაღალი და წარუმატებელთა დაბალი შემოსავლები. საკმაო დრო დასჭირდა საზოგადოებას იმის გასაცნობიერებლად და მისაღებად, რომ შემოსავალთა განაწილებაში რაც სამართლიანია ბაზრისათვის = უსამართლოა ზოგადსაკაცობრიო თვალსაზრისით. აუცილებელია მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა გატარება.

სახელმწიფო რეგულირების თეორიასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეგულირების ინსტრუმენტებს. როგორიცაა სახელმწიფოს მიერ გამოცემული საკანონმდებლო და სამართლებრივი დოკუმენტები: სამეწარმეო და საბანკო კანონმდებლობა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ცდილობს ბაზრის სტრუქტურა - მონოპოლიზაციის ხარისხი შეინარჩუნოს; სატარიფო - საბაჟო მექანიზმი; შრომითი კანონმდებლობა; სახვადასხვა სახელმწიფო სტანდარტები, რომლებიც გარემოს ექსპლუატაციის პირობებს არეგულირებენ.

სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად და მატერიალურ ბაზად გვევლინება სახელმწიფო საკუთრება და სახელმწიფო მეწარმეობა. სახელმწიფო საკუთრება სოციალური პროცესების რეგულირებაში გამოიყენება. სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტებად გვევლინება ფინანსური, ფულად_საკრედიტო, საწარმოო, სტრუქტურული და სამეცნიერო ტექნიკური პოლიტიკა. უკანასკნელი სამი ასტიმულირებს ეკონომიკური ზრდის მიღწევას, მაკროეკონომიკურ წონასწორობას.

არ არსებობს ეკონომიკაში ცალკეული ქვეყნისათვის სახელმწიფოს ჩარევის ხარისხის და ინსტრუმენტთა ნაკრების უნივერსალური მოდელი. არსებობს სპეციფიკა, რომელიც განასხვავებს მხოლოდ მოცემული ქვეყნისა თუ ქვეყანათა ჯგუფისათვის გამოსაყენებელ ინსტრუმენტებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მენაბდე- ჯობაძე ე. დასაქმება - კლასიკური და კეინზიანური კონცეფციები. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2018, #3 გვ. 74-78
2. Dunn Bill. Keynes and Marx. Manchester: Manchester University Press. 2021, 289 p.
3. Marcuzzo M.C. Essays in Keynesian Persuasion. Cambridge Scholars Publishing. 2019, 76 p.
4. Улиарис С. Что такое экономические модели? Как экономисты пытаются моделировать действительность. Финансы и развитие, 2019, июнь, стр. 46-49